



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა**

სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**

წევრები:

- გოჩა შუბითიძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- ლია ბოგვერაძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- მეგი ტალახაძე** - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- ნონა ბეროშვილი** - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- ნანა კუნჭულია** - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- ნანა ნოზაძე** - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- თეა გაბისონია** - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ევგენი გუგულაშვილი** - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- ქეთევან ქობალია** - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- მაკა ნატროშვილი** - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230053731

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ზესტაფონი
იურიდიული მისამართი	რუსთაველის ქ. N6ა
ფაქტობრივი მისამართი	რუსთაველის ქ. N6ა
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zestaponi7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	-

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება MES 5 23 0000805886, 03.07.2023წ. - „
--	--



	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	31 ივლისი და 01 აგვისტო, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N6ა

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N6ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქ. N6ა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ ექსპერტებთან. ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, გაეცნენ/განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, ასევე ჰქონდა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა სკოლის შესაბამისი მატერიალური რესურსი და პირისპირ გასაუბრებოდა კათედრის წევრებს. ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილი მიგნებები, შეჯამების ეტაპზე, მიეწოდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ექსპერტების მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას. საქმიანი გარემო, მოსაზრებების ურთიერთშეჯერება, მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ



ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლას აქვს ფაბლაბი - საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, რომელიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეა. ლაბორატორიის მიზანია იდეების გენერირება და გამოგონებების შექმნა. FAB LAB - ი აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით: 3D პრინტერით, 3D კალმით, ლაზერული მჭრელით, რაც მოსწავლეებს საკუთარი პროდუქციის შექმნის საშუალებას აძლევს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	☒ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი....		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (05.09.2023–07.09.2023წწ.).
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (05.09.2023–07.09.2023წწ.).
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ინდიკატორი 3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლამ უზრუნველყოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (01.10.2023-30.10.2023წწ.).
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმება და დამტკიცება სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის (იხ ალწერილობა, გვერდი 37) შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (11.09. 2023-29.12.2023წწ.).
ინდიკატორი 3.5.1.1	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომობა.



		დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (11.09.2023-15.11.2023წწ.).
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		*****

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
-------------	------------------	-------



ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	2023 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის შედგენა სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი, სტრატეგიული გეგმის საფუძველზე.
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	2023-2024 სამოქმედო გეგმის შედგენისას, სკოლამ უზრუნველყოს მასში ველების დამატება, სადაც აისახება შესრულების გაზომვადი ინდიკატორები (აღმსრულებელი, მატერიალური, ფინანსური/დაფინანსების წყარო) და შესაბამისი რესურსები.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციები საფუძველზე, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე (1350 მოსწავლე) სკოლამ მიზანშეწონილია განახორციელოს ექიმის საშტატო ერთეულის დამატება.



სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები - მე და საზოგადოების მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მეორე სავალდებულო თემაში: “სკოლა მეგობრები, თანატოლები” არ ჩანს გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები: პიროვნება და ცვლილება, კურიკულუმის საბოლოოდ დამტკიცებამდე მნიშვნელოვანია აღნიშნული რჩევის გათვალისწინება და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესრულება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. აღნიშნულის შესახებ კათედრის წევრებს ეცნობა გასაუბრებისას, კათედრის წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული სამიზნე ცნებები იყო წარმოდგენილი სავალდებულო თემაში, პირველ სავალდებულო თემაში ნამდვილად ყველა სამიზნე ცნებაა საკითხთან შესაბამისობაში მოყვანილი, მაგრამ აღნიშნული



		რჩევა მეორე და მესამე სავალდებულო თემების ფარგლებშია გაცემული და გასათვალისწინებელი. ასევე გაითვალისწინებოდა იგივე მიდგომას მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში მეორე სავალდებულო თემაში სამიზნე ცნება : “საზოგადოების” მიმართულებით.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები- ისტორიის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მესამე სავალდებულო თემაში: “ანტიკური და გვიან ანტიკური ხანა” არ ჩანს გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები: დრო და საზოგადოება, . კურიკულუმის საბოლოოდ დამტკიცებამდე მნიშვნელოვანია აღნიშნულ რჩევის გათვალისწინება და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესრულება, კერძოდ ყველა სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. აღნიშნულის შესახებ კათედრის წევრებს ეცნობა გასაუბრებისას. გეოგრაფიის მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოშიც არ იყო წარმოდგენილი სამიზნე ცნება “გეოგრაფიულ მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი” , გეოგრაფიის მასწავლებელს გასაუბრებისას



		აღნიშნული მიგნება გავაცანით და ავტორიზაციის პროცესის დასრულებამდე რეკომენდაცია: სავალდებულო თემა - დედამიწაში ასევე უნდა მუშავდებოდეს გრძელვადიანი მიზანი- გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი გაითვალისწინონ, რაც აისახა კურიკულუმში მოქალაქეობის კურიკულუმშიც მნიშვნელოვანია იგივე პრინციპის გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს აგებისას.
--	--	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლის ადმინისტრაციამ გაიზიარა ექსპერტების პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, გარდა, 3.4.1.1 ინდიკატორის ხარვეზის ნაწილისა (სკოლის წერილი MES 1 23 0001088248, 06.09.2023წ.)- "დაწესებულებას არ აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. გაცემული მიწერილობაც არ ასახავს ინფორმაციას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე", ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსაგან დაწესებულებას 2023 წლის 19 ივლისს აქვს მიღებული მიწერილობა N MIA 5 23 02088197, 19.07.2023წ.).



ექსპერტებმა დასკვნის შედგენისას, გაითვალისწინეს სკოლის პოზიცია და ინდიკატორი 3.4.1.1. აღნიშნულ ნაწილში, სტანდარტთან სრული შესაბამისობით აღნიშნეს (სკოლას აღნიშნულ ინდიკატორში სხვა ხარვეზებიც აქვს, შესაბამისად, საბოლოოდ, არ შეფასდა როგორც შესაბამისი).

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სკოლის არგუმენტირებული პოზიციისა 3.4.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს მტკიცებულებით - „არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ **შემოადგინებულ დასკვნაში არ არის მითითებული ხარვეზის აღმოფხვრის თარიღი, შესაბამისად ბუნდოვანია, რა ვადაში უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ სამუშაოების ჩატარება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეთა უსაფრთხოება.**

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

• რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (1.1.1.3, 1.1.1.4; 1.2.1.2; 3.3.2.1; 3.4.1.1; 3.5.1.1) - ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, დამტკიცებულ იქნა 2022 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N1 სხდომაზე. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, დაწესებულება საჭიროდ მიიჩნევს გადახედოს სკოლის ფილოსოფიას და გარკვეული ცვლილებები განახორციელოს მასში. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მოქმედი ფილოსოფია და სკოლას გარკვეული რეკომენდაციები მიაწოდეს მისიის ფორმატთან და შინაარსთან დაკავშირებით, რათა დაწესებულებამ ახალი მისიის შედგენისას, გაითვალისწინოს ექსპერტების რჩევები. კერძოდ, დეკლარირებული მისიის პირველი ნაწილი შეიცავდა ჩანაწერს „სკოლის მისიაა მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა“. ვინაიდან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უმთავრესი მიზანი, სწორედ მოსწავლეთათვის განათლების მიცემაა, მისიის ეს ჩანაწერი ისედაც ცხადყოფს სკოლის დანიშნულებას და ამიტომ, ამის ხაზგასმა არ არის რელევანტური. მისიის დანარჩენი ნაწილიც, ზოგადია და არ გამოხატავს სკოლის იდენტობას. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლას, სწავლა-სწავლების მიმართულებით, აქვს უპირატესობები - ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, ფაბლაბი, აქცენტირება საბუნებისმეტყველო დისციპლინებზე და ა.შ.. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ რევიზირებულ მისიაში, სკოლის ძლიერი მხარეები იყოს გამოკვეთილი. სკოლის ხედვაში უკვე მითითებულია მთავარი პრიორიტეტები - „ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაღრმავებული სწავლა-სწავლება; ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა,, რაც გამოკვეთს დაწესებულების მიერ მისაღწევს მიზნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა გარკვეული რეკომენდაციებით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას სკოლის მოქმედ ფილოსოფიასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება არსებული მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმის ნაწილი, დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (N1, 07.09.2022წ.). გარდა ამისა, ის განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზეც (N3, 07.09.2022წ.), შესაბამისად, სკოლის ფილოსოფიის დამტკიცებამდე, ის განხილულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ (სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში, პედაგოგებთან ერთად, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებიც არიან). სკოლა სამომავლოდ გეგმავს პროცესის კიდევ უფრო გაფართოვებას და გამოკითხვის ჩატარებას, რომლის ფარგლებშიც, გამოკითხება მთელი სასკოლო თემი: სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. აგრეთვე, გამოკითხვაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა დაინტერესებულმა პირებმა. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, დაწესებულება იხელმძღვანელებს სკოლის ახალი ფილოსოფიის შედგენისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. როგორც 1.1.1.3 ინდიკატორის აღწერილობისას გაირკვა, სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესში არ მიუღია მონაწილეობა სასკოლო საზოგადოების გარკვეულ ნაწილს (მშობლები, მოსწავლეები), შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების პოზიცია არ არის მასში ასახული - სკოლის მოქმედი მისია არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა მომავალში გეგმავს გაუზიაროს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტი ყველა დაინტერესებულ პირს და შესაბამისი უკუკავშირის საფუძველზე, უზრუნველყოს მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 05.09.2023-07.09.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლას აქვს ვებ. გვერდი პორტალზე <https://skolebi.emis.ge/>, სადაც ატვირთული სკოლის მოქმედი ფილოსოფია. ასევე, სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ბლოგი, სადაც ასევე, ხელმისაწვდომია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლის სახელწოდებას. ზესტაფონის N7 საჯარო სკოლას მიენიჭა სკოლის კურსდამთავრებულის, რევაზ მუმლაძის სახელი. რევაზ მუმლაძე მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, ითვლება უგზო უკვალოდ დაკარგულად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სკოლის ვებ. გვერდის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების N2-293, 31.07.2023წ. საფუძველზე, დამტკიცდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენის შემდეგ, სკოლა შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლას არ აქვს შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. დაწესებულება გეგმავს მის შედგენას 2023-2024 სასწავლო წლისთვის, დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.09.2023-30.11.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

3. სკოლას არ აქვს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. თუმცა, აქვს 2022-2024 სასწავლო წლებზე გათვლილი, ორწლიანი სტრატეგიული გეგმა. ერთწლიანი გეგმის შედგენა, სწორედ ზემოაღნიშნული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ 2023-2024 სასწავლო წელს დაწესებულებამ შეადგინოს სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს სკოლის სტრატეგიულ (შვიდწლიან) გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას (რჩევა). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის არარსებობის გამო, დაწესებულებას არ აქვს მასზე დაფუძნებული, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის არარსებობის გეგმა, სადაც ასახული იქნებოდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. ექსპერტებმა განიხილეს 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. როგორც აღმოჩნდა, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ექსპერტებმა სკოლას მიაწოდეს რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის ფორმატთან დაკავშირებით, რათა ახალი, 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა შესაბამისობაში ყოფილიყო მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, სკოლას წარმოდგენილ გეგმაში არ ჰქონდა განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (რჩევა). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-293, 31.07.2023წ.
- სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების N2-293, 31.07.2023წ. საფუძველზე, დამტკიცდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც მე - 12 თავი ეთმობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა გეგმავს მონიტორინგს და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საკითხებს განიხილავს სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.2. კერძოდ, ახორციელებს თუ არა დაწესებულება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. ვინაიდან, სკოლა ექვემდებარება პირველად ავტორიზაციას, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.3. კერძოდ, საჯაროა თუ არა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, შეაფასონ ინდიკატორი 1.2.2.4, ვინაიდან, სკოლა პირველად ავტორიზაციას ექვემდებარება და შესაბამისად, მას ვერ ექნება სტრატეგიული გეგმისა და გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-293, 31.07.2023წ.
- სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-297, 01.08.2023წ. დამტკიცდა დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. კერძოდ, სკოლის სტრუქტურა სქემატური გამოსახულების სახით შემოადინებული ბრძანების პირველ დანართად განისაზღვრა და თვალნათლივ წარმოაჩინა სტრუქტურული ერთეულების და პირების იერარქიული დაქვემდებარება. დანართით N2 დამტკიცდა სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. კერძოდ, სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, დირექციის (დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი), პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, ადმინისტრაციის (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოეკარი, მტუკი) და ტექნიკური პერსონალის ფუნქციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიო და დეტალურია, შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლები აცნობიერებენ, როგორ აისახება მათი საქმიანობა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი ოქმები, ასევე, სკოლაში დამკვიდრებული ანგარიშვალდებულების სისტემა

საშუალებას აძლევს დირექციას თვალი ადევნოს მათ საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს პროცესების მართვა/კორექტირება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-297, 01.08.2023წ. დამტკიცებული დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.
- სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია (ოქმები, ანგარიშები).

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის მიერ შედგენილ, სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (ბრძანება N2-283, 31.07.2023წ.). გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა

თანამშრომლისათვის. კერძოდ, შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს, არეგულირებს სკოლაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს მათი მუშაობის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა მიუთითებს, რომ დაწესებულება თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები: რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს? რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე? - გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლა გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს ჩატარებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტაციის განხილვისას. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, არეგულირებს მასწავლებლების შერჩევის პროცედურებს, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას კონკურსი მონაწილეობის უფლების შესახებ, კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ეტაპების, მათ შორის, კონკურსის ჩაშლის საფუძველს და ა.შ.

პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ასევე, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ (2020 წლის შემდეგ დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაში).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს (სკოლაში თანამშრომლის მიღებისთანავე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც თავმოყრილია დოკუმენტაცია აღნიშნული თანამშრომლის პირადი მონაცემების, განათლების და გამოცდილების შესახებ). როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. სკოლაში დასაქმებულია 71 მასწავლებელია (მოცამემები განხილულ იქნა Eschool_ის დათვალიერების საფუძველზე), საიდანაც 2-ს შემცვლელი მასწავლებლის სტატუსი აქვს, 5 მენტორი, 26 უფროსი, 37 წამყვანი და 1 მაძიებელია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია და მუშაობა გუნდურობის პრინციპის დაცვით ხორციელდება. აღნიშნულს ცხადყოფს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი ოქმები. ინტერვიუებისას, სკოლის თანამშრომლებმაც აღნიშნეს, რომ საერთო ღირებულებები და ინტერესები, მათ თანამშრომლობაზე დადებითად აისახება და პროცესების წარმატებით განხორციელების საწინდარია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. დაწესებულებას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს სკოლის ის დოკუმენტაცია (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები), რომლის საფუძველზეც გადაწყდა, რომ სკოლის გარკვეული პედაგოგები წარდგენილ ყოფილიყვნენ განსაკუთრებული პედაგოგიური დამსახურებისათვის სტატუსის მისანიჭებლად. შედეგიც დადებითი იყო, კერძოდ, 3 მასწავლებელს მენტორის სტატუსი, ხოლო 1 სპეციალურ მასწავლებელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ. აღნიშნული ფაქტი მძლავრი მოტივატორი იყო სხვა პედაგოგებისთვისაც, რაც ინტერვიუების დროს დადასტურდა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-283, 31.07.2023);
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირადი საქმეები;
- სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-283, 31.07.2023წ.), რომლის მე - 19 მუხლი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების ძირითად ასპექტებს. შეფასების შემდგომ ხორციელდება პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელებისა. სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. მაგალითად. მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სკოლის საჭიროებების კვლევა განხორციელდა პროექტის ფარგლებში „ციფრული სკოლა“. 2022 წელს კი განხორციელდა იგივე სახის კვლევები პროექტის ფარგლებში „Microsoft showcase school“. კვლევების შედეგად გამოვლინდა ციფრული უნარ-ჩვევების ნაკლებობა მასწავლებლებსა და მოსწავლეებში და მომდევნო წლებში სკოლამ განახორციელა აქტივობები, რომლებიც მიმართული იყო აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან ციფრული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით. 2022 წლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესი სრულყოფილად ვერ აძლევდა მოსწავლეებს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს. შედეგად, მასწავლებლები დარეგისტრირდნენ მაიკროსოფტის სასწავლო პორტალზე და მონაწილეობა მიიღეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას, რის საფუძველზეც, იგეგმება მხარდამჭერი ღონისძიებები. როგორც ირკვევა, სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა და შესაბამისი მხარდაჭერაც უზრუნველყოფილია. დაწესებულება ნებისმიერ თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას, გაიაროს ტრენინგები, აიმაღლოს პროფესიული ცოდნა და უნარები. აღნიშნული ტრენინგების შესახებ ინფორმაციას სკოლა გამუდმებით აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას სკოლის რათა სურვილის შემთხვევაში, მათ შეძლონ დასწრება და ტრენინგის წარმატებით გავლის შემდეგ, შესაბამისი სერტიფიკატის მიღება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა კოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულების გარკვეული პედაგოგები წარდგენილ იყვნენ განსაკუთრებული პედაგოგიური დამსახურებისათვის სტატუსის მისანიჭებლად. შედეგიც დადებითი იყო, კერძოდ, 3 მასწავლებელს მენტორის სტატუსი, ხოლო 1 სპეციალური მასწავლებელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭათ. სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სქემის ფარგლებში, სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები. სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან, რათა სკოლის ბუღალტერს გაეწოდებინათ აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგი შემდეგ თემებზე: „სახელმწიფო შესყიდვები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“, საგადასახადო კანონმდებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“, „ინვენტარიზაციის ჩატარების და ქონების ჩამოწერის პროცედურები“, რაც ასევე, დადებითად აისახა თანამშრომლის განვითარებაზე. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების ასპექტების წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში (მე-20 თავი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება ზრუნავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესზე. სკოლის წამყვანი და მენტორი მასწავლებლები ეხმარებიან დამწყებ მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი სირთულეების დაძლევაში. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას მაძიებელი მასწავლებელიც ჰყავს, რომლის საქმიანობას წარმართავს ტუტორი. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის მე-18 თავში აღწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპები, კერძოდ, მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ, სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი, „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. წახალისების მექანიზმები შემდეგია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. შინაგანაწესის მე-11 მუხლი დეტალურად აღწერს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესებს. დასაქმებულის წახალისების

შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-283, 31.07.2023);
- სკოლის შინაგანაწესი;
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად



1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N2-295, 01.08.2023წ. ბრძანებით), რომლის თანახმად, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმებით ხორციელდება და მასზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. პროცესები ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ნუსხა წარმოდგენილია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა. ძირითადი პროცესებია - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, მონიტორინგი და შეფასება, რომელიც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები განხილულ იქნება ქვემოთ (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ.). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სსიპ რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა ახდენს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების განხილვას. კერძოდ, სკოლაში დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი, შედგენილია და დამტკიცებულია დისციპლინური კომიტეტის დებულება. ვიზიტის დროს ექპერტებმა განიხილეს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. პირს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა განისაზღვრება შინაგანაწესით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-289, 31.07.2023წ. დამტკიცდა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა), ასევე, სტრუქტურული ერთეულების - სამეურვეო საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, მანდატურები, სკოლის ექიმი, დამრიგებლების ფუნქცია-მოვალეობები უზრუნველყოფენ სკოლის პერსონალის და მშობლების კანონიერი უფლებების დაცვას. სკოლის თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სკოლასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში. აგრეთვე, სკოლის მოსწავლეების მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურად გაწერილია მათი უფლებები და ვალდებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის N2-295, 01.08.2023წ. ბრძანებით;
- დისციპლინური კომიტეტის დებულება;
- დირექტორის ბრძანებით N2-289, 31.07.2023წ. დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი.
- დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლას, ამ ეტაპზე, არ აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმი, თუმცა, სკოლა იაზრებს აღნიშნული მექანიზმის საჭიროებას და გათვალისწინებული აქვს მისი შემუშავება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-30.10.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება.
2. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში და უზრუნველყოფენ მათ შეუფერხებელ მუშაობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მანდატურის სამსახურის თანამშრომლები და რესურსცენტრის მიერ განსაზღვრული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს, დიციპლინური კომიტეტის, თვითმმართველობის სხდომის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის მექანიზმებს. სკოლის დირექტორის N2-288, 31.08.2023წ. ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა. სკოლაში დასაქმებული 3 მანდატური, და ვიდეოსათვალითვალო კამერები ახორციელებენ სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში დასაქმებული დარაჯები, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დაცვას. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, აქვს საევაკუაციო გეგმა. **თუმცა, დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა.** მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდები, **დაწესებულებას არ აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** სახანძრო სამსახურის მიერ გაცემული მიწერილობის დოკუმენტი თარიღდება 19.07.2023. წლით (ვიზიტამდე დაახლოებით 10 დღით ადრე), რომელსაც თან ახლავს შესაბამისობის აქტი. როგორც მიწერილობიდან ირკვევა, სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სამედიცინო კაბინეტი, განიხილეს ექიმის პირადი საქმე. როგორც გაირკვა, ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **თუმცა, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა არ არის დამაკმაყოფილებელი.** კერძოდ, ექიმის კაბინეტში არ იყო წარმოდგენილი შირმა და კისრის ფიქსატორი. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე (1350 მოსწავლე) სკოლამ **მიზანშეწონილია განახორციელოს ექიმის საშტატო ერთეულის დამატება (რჩევა).**



გარდა ამისა, სკოლას არ წარმოუდგენია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). გარდა ამისა, რეკომენდირებულია, რომ სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (რჩევა). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.09.2023-29.12.2023წწ. აღსანიშნავია, რომ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება განხორციელდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით N005725423 და აღნიშნული ხარვეზი დაკმაყოფილდა (შესრულდა). თუმცა, ინდიკატორის დანარჩენი ხარვეზები რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმება და დამტკიცება (11.09.2023-29.12.2023წ.), სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან (11.09.2023წ.-29.12.2023წ.).

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და სამი მანდატური. შესვენებებზე შენობაში მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა, დათარიღებული 2016 წლით, რომლის მიზანია სკოლაში უსაფრთხო გარემოს განმტკიცებით ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სსიპ-რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა ზრუნავს არა მარტო ფიზიკური გარემოს უსაფრთხოებაზე, არამედ სასკოლო საზოგადოების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზეც. დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-281, 28.07.2023წ. დამტკიცდა სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. როგორც ირკვევა, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევათა თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებებს. გარდა ტექნიკური პერსონალისა, სველ წერტილებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელია სკოლის ექიმი, რომელიც სისტემატიურად ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს და საჭიროებისამებრ, შესაბამის მითითებებს აძლევს აღნიშნული ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით 2-292, 31.07.2023წ. დამტკიცდა სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლამ მონაცემთა სუბიექტთან ურთიერთობის ხასიათიდან და მონაცემთა დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება დაამუშაოს შემდეგი პერსონალური მონაცემები: მოსწავლის შესახებ, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შესახებ. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-30, 18.02.2021წ.). მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე -5 მუხლი, შეიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვის მექანიზმები. სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი დეტალურად აღწერს სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებების ნუსხას, რომელიც უზრუნველყოფს სკოლა მონაცემთა უსაფრთხოებას, მათ დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. სკოლის თანამშრომლებს წვდომა აქვთ მხოლოდ იმ მონაცემებზე და იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათი მოვალეობების შესასრულებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად...“ და ბრძანებით დადგენილი წესით ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარუდგენს მრჩეველთა საბჭოს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის N2-288, 31.08.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ექიმის პირადი საქმე და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-281, 28.07.2023წ. დამტკიცებული სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-292, 31.07.2023წ. დამტკიცებული სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-30, 18.02.2021წ.).

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის შენობა რეაბილიტირებულ იქნა 2020 წელს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. ვიზიტამდე ექსპერტებმა გამოითხოვეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც თარიღდება 20.07.2023 წლით. როგორც გაირკვა, შეცვლილია სკოლის მისამართი (აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების დოკუმენტშიც, სკოლას ძველი მისამართი აქვს მითითებული) და ახალ მისამართად განისაზღვრა - ქალაქი ზესტაფონი, შოთა რუსთაველის ქუჩა N6ა. 3838,00 კვ.მ შენობა განთავსებულია 4155,00 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე. სკოლის გარე პერიმეტრი სრულად არის დაცული. შენობა სამ სართულიანია და სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება

თანამედროვე მოთხოვნებს. კერძოდ, სკოლაში არის ბუნებრივი განათების მქონე 49 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, „მომავლის კლასი“, სპორტდარბაზი, გარე სპორტული მოედანი. სკოლა აღჭურვილია მერხებით, დაფებითა და კომპიუტერული ტექნიკით. სველი წერტილები სათანადოდ არის მოწყობილი და უზრუნველყოფილია ცხელი წყლით. სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემაა დამონტაჟებული. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო ოთახი, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილის რესურსოთახი, ბიბლიოთეკა. ვიზიტის პერიოდში, ეწყობოდა სკოლის შიდა ეზოს ერთი ნაწილი (სამუშაოები თითქმის დასრულებული იყო). სკოლის ბიბლიოთეკაში 5500 წიგნია, რომელიც დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემები, კერძოდ, გაზეთი „ახალი განათლება“. სკოლის სარგებლობაშია 74 კომპიუტერი (მათ შორის, 34 პერსონალური), 7 პროექტორი, 7 პრინტერი. სკოლას აქვს 3D პრინტერი და 3D კალამი, რომელიც განთავსებულია ფაბლაბში (საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის შენობის სამივე სართულზე ფართე და ნათელი საერთო მოხმარების სივრცეებია. კერძოდ, პირველი სართულის ფოიე, მეორე და მესამე სართულების მოსასვენებელი სივრცეები მოსწავლეთა დასვენების, ერთმანეთთან კომუნიკაციის და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების ადგილია. პირველ სართულზე განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ დასვენებებზე და თავისუფალ დროს. მეორე სართულზე რბილი ავეჯია. სკოლის ბიბლიოთეკა, სამკითხველოთი და კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და პედაგოგებისათვის. „მომავლის კლასი“ და ფაბლაბიც, ეფექტურად გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესში, ისე, არაფორმალური განათლებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რათა მოხდეს საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურად ხელმისაწვდომობა და გამოყენება. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი (N2-284, 31.08.2023წ.), რომელიც განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, ასევე, შენობაშია ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა, ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც მუშაობენ სპეციალური პედაგოგები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგებს და დეტალურად გაეცნენ მათ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ყველა-კლას კაბინეტი განათავსა პირველ სართულზე, რათა შეუფერხებლად მომხდარიყო სსსმ მოსწავლეების გადაადგილება. სპორტული დარბაზიც პირველ სართულზეა განთავსებული, თუმცა მასში მოსახვედრად რამოდენიმე დამრეცი კიბის გავლაა საჭირო. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.10.2023-15.11.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომობა.
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - სკოლა პოზიტიური გარემოთი, კეთილმოწყობილი სივრცეებით და კაბინეტებით, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საქმიანობებით ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული ყველა რესურსი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც ახალ რეაბილიტირებულია და აღჭურვილია უახლესი ხელსაწყოებით, გამწოვი სისტემით, სველი წერტილით (ონკანი) „მომავლის კლასსაც“ ეფექტურად იყენებს დაწესებულება სწავლა-სწავლების პროცესში და განსაკუთრებული მზრუნველობით უვლის. ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული კაბორატორია, ფაბლაბი სასწავლო პროცესს მოდერნიზებულს, საინტერესოს და სახალისოს ხდის. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი;
- სკოლის მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა გამართულია. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სარგებლობაშია 74 კომპიუტერი (მათ შორის, 34 პერსონალური), 7 პროექტორი, 7 პრინტერი. სკოლას აქვს 3D პრინტერი და 3D კალამი, რომელიც განთავსებულია ფაბლაბში. სკოლას აქვს მომავლის კლასი, რომელიც ასევე, აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. ვიზიტის

დროს ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს სკოლის ფაბლაბორატორია და მასში განთავსებული ტექნიკა. კერძოდ, ფაბლაბი არის საინჟინრო მიმართულების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, რომელიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეა. იგი აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით, მათ შორის, 3D პრინტერით, ლაზერული მჭრელით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია, სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. ყველა თანამშრომლისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს პერსონალური კომპიუტერი, რესურს ოთახში განთავსებულია 4 კომპიუტერი. აგრეთვე, სკოლის სამასწავლებლოში დგას კომპიუტერი და პრინტერი, რომლითაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის მასწავლებლებს. სკოლის მოსწავლეებს მასწავლებელთან/სკოლის დირექციასთან შეთანხმებით, შეუძლიათ საჭიროებისამებრ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და მომავლის კლასი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;



2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-290, 31.07.2008წ. დამტკიცდა საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლის მიზანია დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. დაწესებულებას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საქმისწარმოება კანონით დადგენილი წესით მიმდინარეობს, რაც დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დათვალიერებისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: zestaponi7@mes.gov.ge სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. ვიზიტის დოს ექპერტებმა განიხილეს სკოლის Eschool - ში არსებული პირადი გვერდი. როგორ გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კერძოდ, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მის სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან (სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და ა.შ.). კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - eFlow-ს მეშვეობით, ან, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-290, 31.07.2008წ. დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური



მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლას აქვს ვებ. გვერდი მისამართზე, <https://skolebi.emis.ge/>. გარდა ამისა, საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება სკოლის ბლოგის (რომელიც, ასევე, ხელმისაწვდომია ვებ.გვერდზე), სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდის საშუალებითაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, იგი იყენებს სკოლის ვებ. გვერდს, სოციალურ ქსელს, ბლოგს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. სკოლა თვითშეფასების კითხვარში მიუთითებს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს არ იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და გეგმავს ამას მომავალში. მითუმეტეს, რომ სკოლას უკვე აქვს ვებ. გვერდი და კომუნიკაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდება. დაწესებულება სამომავლოდ, საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს გააანალიზებს, მაქსიმალურად გაითვალისწინებს სასკოლო თემის მოსაზრებებს და ასახავს სკოლის საქმიანობაში. ამ ეტაპზე, პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში, **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**
4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
5. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას აქვს ვებ. გვერდი, მისამართზე, <https://skolebi.emis.ge/>, სადაც განთავსებულია სკოლასთან დაკავშირებული, სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ, სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები, შინაგანაწესი, ინფორმაცია სკოლის ბიუჯეტის შესახებ და ა.შ. ვებ. გვერდიდან, ბმულის საშუალებით, შესაძლებელია სკოლის ბლოგის დათვალიერებაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სკოლის ვებ.გვერდი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდანაც აქვს გარკვეული შემოსავალი (იჯარა). სკოლა ფინანსურად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები, აღჭურვოს იმ რესურსით, რაც აუცილებელია სკოლის განვითარებისა და დასახული მიზნების მისაღწევად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. დაწესებულება ყოველი წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებას სამინისტროს მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-296, 01.08.2023წ. დამტკიცდა სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი, რომლის მიზანია, მოსწავლეთა უფლებების ხელშეწყობა შესაბამისი ღონისძიებების გაძლიერების მიზნით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის უფლება მოვალეობები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, სკოლის დისციპლინური კომიტეტი უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა განიხილეს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დარწმუნდნენ, რომ პროცესები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ მიმდინარეობს. გარდა ამისა, სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანება N2-76, 20.02.2017წ., განსაზღვრავს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის შიდა ინსტრუქციას. ინდივიდუალურ-საკანონმდებლო აქტით სკოლას ჰყავს განსაზღვრული რეფერირების პროცედურის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის - სახელწოდებით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ მეორე მუხლი, არეგულირებს მოსწავლეებისათვის და მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლები აცნობენ მათ ისეთ დოკუმენტებს, როგორებიც არის შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა და ა.შ. წესის დამტკიცების ბრძანებაში მითითებულია სკოლის ვალდებულება, უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის განთავსება სკოლის ვებ. გვერდზე, რათა გახადოს ის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი ხელშეკრულების ნიმუში, გაფორმებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე ვალდებულებები. ხელშეკრულების მე -5 მუხლი არეგულირებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების ასპექტებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-296, 01.08.2023წ. დამტკიცებული სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.



4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის N2-287, 31.07.2023წ. ბრძანებით. დოკუმენტში წარმოდგენილია ინფორმაცია პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის შესახებ, ასევე, მონაცემები წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის თაობაზე. მე -7 მუხლი ეთმობა დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესს. მე -10 მუხლი არეგულირებს უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია მე -11 მუხლშია აღწერილი და ა.შ. დოკუმენტი დეტალურია და ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციას, რომლის საფუძველზე ხორციელდებოდა მოსწავლის ჩარიცხვა და საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა. მაგალითად, ერთ-ერთი მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურის განხილვისას, რომლის საფუძველს წარმოადგენდა 45 სასწავლო დღის განმავლობაში სკოლაში



გამოუცხადებლობა, სკოლამ, შესაბამისი აქტის გამოცემის შემდეგ, განახორციელა წერილობითი შეტყობინება მშობელთან და ა.შ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, რომელიც განთავსებულია პორტალზე <https://skolebi.emis.ge/>, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ. მათ შორის არის, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლა 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეებს არ სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, შესაბამისად, ვებ. გვერდზე არ არის გაზიარებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ. გვერდის და სოციალური ქსელის საშუალებით. ასევე, სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის N2-287, 31.07.2023წ. ბრძანებით;
- ვებ. გვერდი პორტალზე <https://skolebi.emis.ge/>;
- სკოლის ბლოგი და სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწყევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში, დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები. სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა

ადაპტაციის პროცესი, მათი ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ეფექტურად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და საზოგადოებასთან. დაწესებულებაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში, ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ამასთანავე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის წესით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში განლაგებულია მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების შესაბამისი მერხები, საკლასო გარემო და დამატებითი სივრცეები ხელს უწყობენ მოსწავლეთა კომუნიკაციას ერთმანეთთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სსიპ - რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-285, 31.07.2023წ. დამტკიცებულია „მოსწავლის აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი“, რომელიც არეგულირებს მოსწავლეთა მხარდაჭერის საჭიროების გამოვლენას და მათთვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზებას. როგორც ირკვევა, მოსწავლისათვის აკადემიური მხარდაჭერის მიზნით სკოლას შეიძლება მიმართოს: მოსწავლემ, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, საგნის მასწავლებელმა ან კლასის დამრიგებელმა. სკოლისათვის მიმართვის შემთხვევაში, სკოლა ახორციელებს მოსწავლის აკადემიურ მხარდაჭერას შემდეგი გზით: მოსწავლისათვის დამატებითი დავალებების მიცემა, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლისათვის დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ მოსწავლისათვის დისტანციური გაკვეთილების ჩატარება. სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინა, რომ მოსწავლეთა მხარდაჭერა სკოლაში საჭიროებისამებრ ხორციელდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი“. წესის თანახმად, სკოლა მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს შემდეგი გზით: ექსტერნის ფორმით გამოცდების წინ მოსწავლეებისათვის კონსულტაციის გაწევა, სემესტრული გამოცდების წინ

კონსულტაციის გაწევა, საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში, მოსწავლეებისათვის კონსულტაციის გაწევა და.შ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით, არაფორმალური აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობას, მათი ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლა მუდმივად აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტებისა და ოლიმპიადების შესახებ. ხოლო წახალისების მიზნით, სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებულებს, საზეიმო ვითარებაში გადასცემს ჯილდოს. სკოლაში განხორციელდა შემდეგ პროექტები: „ციფრული სკოლა საქართველო“, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სკოლის ბლოგი, „ჯანმრთელი ცხოვრების წესი ჯანსაღი მომავლისთვის“, „ჩვენ ვირჩევთ მომავალს“, „ადამიანის უფლებები - კულტურული მრავალფეროვნება და ციფრული ტექნოლოგიები“. სკოლაში მოქმედებს შემდეგი კლუბები: ლიტერატურული კლუბი „მომავლის თაობა“, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, პროგრამირების კლუბი და ა.შ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. დაწესებულება მომავალში გეგმავს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი. სკოლა გეგმავს მოახდინოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების კვლევა, და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. ვინაიდან, სკოლა პირველად გადის ავტორიზაციის პროცესს, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება. ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-285, 31.07.2023წ. დამტკიცებული „მოსწავლის აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი“.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება



1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას საათობრივ ბაღეში არ აქვს გათვალისწინებული მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები, დაწესებულება დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობებით აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს. გარდა ამისა, სკოლის ხელშეწყობით სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს „ღია კარის დღეების“ ფორმატში, სადაც აცნობენ მოსწავლეებს ფაკულტეტებს, პროგრამებს და ინფორმაციას თავიანთი უნივერსიტეტების შესახებ. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის საგანია, საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრები ხელს უწყობს მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. დაწესებულებას, ამ ეტაპზე, არ აქვს შემუშავებული მომსახურების შეფასების მონიტორინგის მექანიზმი, თუმცა სკოლა სამომავლოს გეგმავს ჩაატაროს კვლევა, რომლითაც სკოლის კურსდამთავრებულები და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები შეაფასებენ სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციის კუთხით გაწეულ მომსახურებას და მისცემენ სკოლას უკუკავშირს,

რომლის საფუძველზეც განხორციელდება მომსახურების დახვეწა და გაუმჯობესება. სკოლა პირველად გადის ავტორიზაციის პროცესს და, აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული ინდიკატორი ვერ შეფასდება ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 28 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და დასაქმებული იყო 4 სპეციალური მასწავლებელი და ერთი ასისტენტი. ეროვნული სასკოლო გეგმის შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. სკოლას შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, ასევე, ყოველწლიურად ხორციელდება მონიტორინგი, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმები შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სკოლის ისგ-ს ჯგუფების მიერ. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, პერსონალური ასისტენტი, დირექცია, მშობელი, მოსწავლეები.

სპეციალური მასწავლებლები უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით საგანმანათლებლო რესურსების შექმნას, სწავლების პროცესში დამხმარე რესურსების გამოყენებას, სსსმ მოსწავლის საქაღალდის წარმოებას, რაც გულისხმობს მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების განვითარების ისტორიის აღრიცხვას, საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით. სსსმ მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, მისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, პედაგოგები ახორციელებენ რესურსების შექმნასა და აქტივობების დაგეგმვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- სკოლის რესურსოთახის ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი



(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სატრანსპორტო მომსახურებას. კერძოდ, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის სატრანსპორტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტები გაეცნენ მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებათან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იყო კანონმდებლობის დაცვით. სკოლას იჯარის ფორმით აქვს გაცემული კვების ობიექტი (სკოლის ბუფეტი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე, ნებაყოფლობითია და შეთანხმებულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. კვების ობიექტის იჯარით გაცემა განხორციელდა კანონით დადგენილი



წესით, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნებართვის საფუძველზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რასაც უზრუნველყოფს სააგენტო საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტაბელის ფორმა გარკვეულ მარშრუტებზე მოსწავლეთა გადაადგილების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს “კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. დოკუმენტით დასტურდება, რომ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა უზრუნველყოფილი იქნება მშობლებთან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. საგნობრივი ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე მიიჩნევენ, რომ კათედრები ითვალისწინებენ კურიკულუმის შექმნისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. აქტივობები და დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. სწავლისა და პიროვნული



ზრდის მხარდაჭერისთვის, მათი როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური კუთხით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. საგნობრივი ექსპერტები ინდიკატორთან მიმართებით ადასტურებენ, რომ სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრის წევრების მიერ კომპლექსური დავალების იდეები შეთანხმებულად შეირჩა, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გარდა ამისა, გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება ყველა კათედრის წევრთან გასაუბრებით, მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ დანართი N22, სადაც ხაზგასმულია კათედრების ფუნქციების შესახებ, მათ შორის, ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და სხვ. იგივე ნარატივი იკითხება დანართი 10-ში-2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ საგნობრივ კათედრებზე მოხდა საგნობრივი კურიკულუმების და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა-ანალიზის საფუძველზე ღონისძიებების განხორციელება, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ პროექტების ინიცირება-განხორციელება, რაც მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობას ადასტურებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ კურიკულუმი აღიქმება როგორც კათედრის თითოეული წევრის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რაც დაფუძნებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მათ აქვთ კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესთან მიმართებაში. ექსპერტები ადასტურებენ, სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებში მშობელთა აქტიურ ჩართულობა, უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, კურიკულუმები განთავსებულია სკოლის ბლოგზე. სამომავლოდ იგეგმება სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ;
- სკოლის ბლოგის ბმული;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება;
- დანართი 10 - 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუები პედაგოგებთან

- საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები ეყრდნობიან სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს (ძირითადად საგნობრივ კურიკულუმებს) და მიიჩნევენ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია თემატური ბლოკები, თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. საგნობრივი ექსპერტები ხედავენ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თემებში კლასების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებს გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიმართული, ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარები განვითარებას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს

კარგად აქვთ გააზრებული კონექსტის/კონტექსტების მნიშვნელობა, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღმისეულად და მრავალმხრივ გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. აქვე, ამავე დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას სხვადასხვა საგანში უკვე მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. ასევე, სხვადასხვა საგანში წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტიკისათვის, რომლის თანახმადაც კვლევა ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

ინტერვიუს დროს კათედრების წარმომადგენლებმა ყურადღება გააახვილეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. შექმნილი რესურსები, რომელიც ასევე ატვირთულია სკოლის ბლოგზე, მოიცავს სხვადასხვა ტიპის, დიფერენცირებულ დავალებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში საგნობრივ მასალასთან ერთად მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა საგანში სხვადასხვა რაოდენობით, ექსპერტებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა განახორციელონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. სხვადასხვა საგანში კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმები გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს, ასევე ახლავს მოსწავლის მიერ შესავსები შეფასების ინსტრუმენტი კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ, ასევე გამოიკვეთა, რომ უმეტესად სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებებს იყენებდნენ და გეგმავენ უშუალოდ სასწავლო პროცესში დაიხვეწონ და უფრო მრავალფეროვანი გახადონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შემუშავდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. საგნობრივმა ექსპერტებმა კათედრების მიხედვით შეაფასეს სკოლის მიერ დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გამოყენების პრაქტიკა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, როგორც ექსპერტებთან ინტერვიუზე ისაუბრეს მასწავლებლებმა, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში აკვირდებოდნენ თუ როგორ ერთვებოდნენ მოსწავლეები ამა თუ იმ აქტივობებში, როგორ მუშაობდნენ პროდუქტზე და რა შედეგებს აღწევდნენ. ასევე, ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზეც, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - პროექტი ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა, კათედრის ანგარიშებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ისგ;
- შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ბლოგის ბმული;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.
- კათედრის პორტფოლი: კათედრის სამოქმედო გეგმა, ანგარიში;
- მასწავლებლების ურთიერთდასწრების განრიგი;
- კომპლექსური დავალების ბარათები შეფასების რუბრიკებით;
- პროექტი ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;



2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით და რესურსებით სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმების რეალიზება მოხდება საკლასო გარემოში, სადაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, შეფასების სქემები, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები. გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მიზნით სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები; ეწყობა ღონისძიებები სკოლის თვითმართველობის ინიციატივით, მშობელთა ჩართულობით. ამის მაგალითია დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტები, რომლის დამადასტურებელი ფოტომასალა ატვირთულია სკოლის Facebook გვერდზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეული თემები მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტია, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ექსპერტები შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობების გათვალისწინებით, აღნიშნავენ, რომ შინაარსი მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალიზი, შექმნას საინტერესო პროდუქტი. კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი. წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების პროცესი ჩანს განხორციელებულ პროექტებშიც. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტებმა გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დაადგინეს, რომ დაწყებით კლასებში სწავლება ძირითადად წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლის უნარის განვითარებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და



შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. შეიძლება ითქვას, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები და პროექტები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან, აგრეთვე მათი განხორციელების პროცესში პედაგოგების მიერ აღწერილი აქტივობებიდან, ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-6 კლასის მათემატიკის ტესტის ნიმუში, სადაც მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ექსპერტები შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე ასკვნიან, რომ მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე, ექსპერტები აღნიშნავენ: ესთეტიკის მიმართულებით- ინტეგრირებული პროექტს „ფორმები“. მათემატიკის მიმართულებით - სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-6 კლასის ინტეგრირებული კომპლექსური დავალება STEAM მიმართულების საგნებში, მათემატიკაში და ისტ-ში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტის - „Harmonie Georgienne“-ანგარიში;
- კათედრის პორტფოლიო;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ანგარიში;
- კომპლექსური დავალების ბარათები.



- სკოლის ბლოგი;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში, სკოლას გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები (იქ, სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს), ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღნიშნული გამოცდილება კომპლექსური დავალებების დანერგვისა და მეორე მხრივ, მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთა მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ექსპერტები დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით ადასტურებენ, სკოლა რომ ყურადღებას აქცევს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საერთო სასკოლო პროექტები ასევე კათედრების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები მაგ:

საზოგადოებრივი მეცნიერებები - “ბავშვთა და ადამიანთა უფლებების დაცვა” (შეხვედრა სკოლის მანდატურის სამსახურთან და დისკუსიის გამართვა), კლასის საათისათვის შერჩეული თემატიკები: “თვითგანვითარება”; ჩემი მიზანი” სწრაფვა წარმატებისაკენ” და ა.შ. მოსწავლიეს ფსიქო-ემოციურ განვითარებას ემსახურება.

უცხოური ენები - დასტურდება სკოლის Facebook გვერდზე წარმოდგენილი ფოტო მასალებიდან, რაც ადასტურებს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არის თანასწორობაზე, ურთიერთპატივისცემასა და ზრუნვაზე დაფუძნებული ურთიერთობა (მაგ: 2023 წლის 13 აპრილს ატვირთული ფოტოები, რომელიც ასახავს ფრანკოფონიის კონკურსს, 2023 წლის 1 აპრილს ატვირთული ფოტოები, რომელიც ასახავს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღის აღნიშვნას ქართულ და ინგლისურ ენაზე გაკეთებული პრეზენტაციებით, 2023 წლის 5 ივნისს ატვირთული ფოტოები ფრანგულენოვანი პროექტის „Harmonie Georgienne” აღსანიშნავად). ზოგადად სკოლა ორიენტირებულია როგორც ფორმალური, სევე არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე, რაც მომდევნო საფეხურებზე კლუბების ფუნქციონირებითაც დასტურდება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ექსპერტები ასკვნიან, რომ დაწყებით საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. კომპლექსური დავალების ფორმაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, ჰოლისტური შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სხვადასხვა კათედრის მიერ შერჩეული მოსწავლის თვითრეფლექსიის ინსტრუმენტი, რომელიც მოსწავლეს საშუალებას მისცემს გაიაზროს და ჩამოაყალიბოს თუ რა შეძლო დავალებაზე მუშაობისას, რა არის მისი ძლიერი მხარე და რა მიმართულებით არის სამუშაო, რაშიც მასწავლებლის განმავითარებელი შეფასებაც დაეხმარება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე დაადასტურა, რომ მასწავლებლებს აქვთ საერთო ხედვა შეფასების სისტემის განვითარების, დახვეწის თვასაზრისით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციას მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაში. ამასვე ადასტურებს სკოლის გამოცდილება და 2023-2024 სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი. სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ყველა საგნობრივი ექსპერტი ხედავს სკოლაში ვერიფიკაციის მიმართულებით გარკვეულ პრაქტიკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი წერს, რომ სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-304-ით დამტკიცებული შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში იგეგმება დირექტორის მოადგილის, კათედრების ხელმძღვანელების და ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



6. ექსპერტები მასწავლებლებთან ინტერვიუდან და მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე ასკვნიან, რომ სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
 - სასკოლო-სასწავლო გეგმა;
 - სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;~
 - დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
 - შეფასების რუბრიკები;
 - განხორციელებული პროექტის - „Harmonie Georgienne“-ანგარიში;
 - სკოლის Facebook გვერდი;
 - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.
 - კათედრის პორტფოლი: კათედრის სამოქმედო გეგმა; კათედრის განხორციელებული აქტივობების აღწერა;
 - სასკოლო პროექტები; კათედრის პროექტები;
 - მასწავლებლებთან გასაუბრება.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის.



წახალისებულია მოქმედების თავისუფლება და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა სკოლის განვითარებაში. მოსწავლეებს და დამრიგებლებს ხშირად აქვთ შეხვედრები მშობლებთან და მათი ჩართულობით, მხარდაჭერით ხდება მოსწავლეების საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინება. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი სკოლის მისია, კულტურა, ჩამოთვლილი საკითხები, აქტივობები, მიზნები, წარმოაჩენს სკოლის მზაობას ამ მიმართულებით. დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგანში დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მოსწავლეები იყენებენ მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს. წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაანალიზდება წლის ბოლოს კათედრებზე და გამოწვევები კი, იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქცევა საკვლევ საკითხებად მომავალი წლის სწორად დაგეგმვის მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სწავლების დაწყებით საფეხურზე, ექსპერტების აზრით, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. ინტერვიუებისას, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. მოსწავლეებთან მიერ მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული არაფორმალური აქტივობებისა და პროექტების განხორციელება უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ექსპერტები ასკვნია, რომ კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და აქტიურ კომუნიკაციას. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია „კრიტიკული მეგობარის“ პრაქტიკა. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. ამ ეტაპზე, აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლობით შემუშავებულ კურიკულუმები და შეფასების სქემები, ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება და კათედრის დებულება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ექსპერტებმა გამოკვეთეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებულებებს, აღიარება/პატივისცემას, ნდობას, მაღალ მორალურ ღირებულებებს, ჩართულობას და მიკუთვნებულობის მაღალ გრძნობას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და ეს მათთვის ძირითადი პრიორიტეტია. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა



ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის 7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ისგ;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- კათედრის პორტფოლი;
- სასკოლო პროექტები.
- მასწავლებლის პრეზენტაცია-კომპლექსური დავალების წარდგენა;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს



1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ექსპერტები გამოკვეთენ რომ სკოლა ითავისებს კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. სკოლა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგს ახორციელებს როგორც ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის, ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტების თუ პრაქტიკის კვლევის საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ექსპერტების ხედვით, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, ამის დასტურია დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგანში განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები. ინტერვიურების დროს და კათედრის ოქმები ადასტურებენ, რომ მასწავლებლები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომებზე აჯამებენ კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს კათედრები, დირექცია, სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი. ექსპერტების მიერ კათედრების წევრებთან განხორციელებული შეხვედრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება აწარმოონ მიზანმიმართულად და პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მიხედვით დაგეგმონ რელევანტური ინტერვენციები, განახორციელონ ცვლილებები კურიკულუმში. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთი მხრივ, როგორც პრობლემა გადაჭრის და მეორეს მხრივ, როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება;
- სასკოლო პროექტი მონიტორინგზე;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმინს განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის საქალაქო;
- კვლევის ბლოგი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიკურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტები მასწავლებლებთან ინტერვიუსას არკვევენ, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლაში იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ექსპერტები მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტშია საჭირო. ეს შეიძლება იყოს კლასის



კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პედაგოგთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; ძირითადად იყენებენ ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფი, ტესტირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. კათედრები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის 7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია
- განმავითარებელი-შეფასების-რუბრიკები;
- კათედრის წევრებთან გაასაუბრება;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- კათედრის საქალაქო.
- კვლევის ბლოგი;

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ჩატარებული ინტერვიუს დროს, მასწავლებლები საუბრობენ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე, რომელშიც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება შემდეგ წელიწადს კურიკულუმის დასახვეწად. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის ითვალისწინებენ დაკვირვების შედეგებს და ისე ადგენენ მომავალი სასწავლო წლისთვის მოდიფიცირებულ ვარიანტს. კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლამ წარმოადგინა „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ სკოლა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებს ყველა იმ მიგნებებს და რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ, სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის დებულება;
- სსიპ რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- კათედრის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი, „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც დაწესებულებამ წარმოდგინა ვიზიტის პერიოდში-01/08/2023წ. N2-294 ბრძანებით დამტკიცებული. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხედვით მასწავლებლების მირ შემუშავებული კურიკულუმი შემდგომ ვითარდება მშობლების და დირექციის აქტიური ჩართულობით. მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში გამოიხატება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად (მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს როგორი დავალებები მოსწონთ, რა ფორმით გადაცემულ ინფორმაციაა მათთვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი და შესაბამისად კურიკულუმში იცვლება საკითხები, მეთოდები, მიდგომები) კურიკულუმში ასახულ ცვლილებებში. მშობელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად მშობელთა კრებებზე და სოციალურ ქსელში თიმის ჯგუფებში გაზიარდება კომპლექსური დავალებები და მშობლის ბარათები. შეფასების რუბრიკები შემუშავდება მოსწავლეთა ჩართულობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (სკოლის ბლოგი, facebook გვერდი, სასკოლო პროექტი, 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, კურიკულუმის ჩარჩოები) და მასწავლებლებთან გასაუბრებებიდან ექსპერტები ასკვნია, რომ კათედრები ითვალისწინებენ კურიკულუმის შექმნისას სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. აქტივობები და დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური კუთხით. სკოლაში სწავლების ყველა საფეხურზე



მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებაა, შესაბამისად გათვლილია და გათვალისწინებულია მრავალრიცხოვან კლასებში მუშაობის სპეციფიკა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, კურსკულუმები შეესაბამება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, პრიორიტეტებსა და შეხედულებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები: სოციალური მედია, ელ. ფოსტა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები. ექსპერტები, პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოკვეთენ, რომ სკოლაში სხვადასხვა კათედრა პროექტებს ახორციელებს სასკოლო საზოგადოების საჭიროების კვლევის საფუძველზე. მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ დანართი N 22, სადაც ხაზგასმულია კათედრების ფუნქციების შესახებ, მათ შორის, ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და სხვ. იგივე ნარატივი იკითხება დანართი 10-ში - 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ საგნობრივ კათედრებზე მოხდა საგნობრივი კურიკულუმების და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა-ანალიზის საფუძველზე ღონისძიებების განხორციელება, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ პროექტების ინიცირება-განხორციელება, რაც მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობას ადასტურებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. სკოლაში, სხვადასხვა კათედრის მიერ სასკოლო საჭიროების მიხედვით პროექტების დეგეგმვა, პროექტებში სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობა, სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ხორციელდება მშობლების ინფორმირებით, კათედრებს შორის კომუნიკაციით, სოციალური ქსელის, ელ. ფოსტისა და სამომავლოდ ვებ.გვერდის ეფექტიანი გამოყენებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. კათედრების მიერ წარმოდგენილი მასალები აღიქმება, როგორც კათედრის თითოეული წევრის სასკოლო ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. ექსპერტებთან გასაუბრების გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რაც დაფუძნებულია იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მათ აქვთ კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესთან მიმართებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;



- სსიპ რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ;
- სკოლის ბლოგის ბმული;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუები პედაგოგებთან
- საგნობრივი კურიკულუმები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას და შესაბამისად, კათედრებს აქვთ გაანალიზებული საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი ადასტურებს. ასევე, მასწავლებლებთან გასაუბრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე იყოს აქტიური სუბიექტი და პროცესი მიმართული იყოს მის პიროვნულ განვითარებაზე, რადგან კომპლექსური დავალებები შეიცავს გამოწვევას, ქმნის მოსწავლეებში ავტონომიის განცდას, იწვევს მათ



ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ამუშავებას და იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტი გამოყოფს: ისტორიის კურიკულუმებში მასწავლებელს შეტანილი აქვს თითოეულში 8 კომპლექსური დავალება, აღნიშნულის შესახებ კათედრის წევრებთან დაისვა შეკითხვა - რამდენად დამძლევადა საათობრივი დატვირთვა თუ გავითვალისწინებთ ამ რაოდენობის კომპლექსური დავალებების განხორციელებას, წლის განმავლობაში. კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ შეეცადნენ კომპლექსურების მაქსიმალური რაოდენობა შეერჩიათ, რომ სანამ კურიკულუმში საბოლოო სახე მიიღებს და დამტკიცდება, შესაძლებლობა ჰქონდეთ იმ კომპლექსურებზე შეაჩერონ არჩევანი, რაც საკლასო სივრცეში უფრო შედეგიანი იქნება, ასევე დასძინეს, კურიკულუმები დაიხვეწება და შინაარსობრივად გაიმართება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივი კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. აქვე, უნდა აღინიშნოს, ისიც რომ სხვადასხვა კათედრას აქვს მზაობა წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ყველა თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება დაიფაროს. დანერგვის ინსტრუმენტები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები) ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლებმა საგნობრივ ექსპერტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, რაც გამოიხატება წინა წლებში დანერგილი კომპლექსური დავალებებით მიღებული გამოცდილების გამოყენებით, დავალების განხორციელებაზე დაკვირვებითაც გამოკვეთეს, თუ რას გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესში, შესაბამისად, ახალი კომპლექსური დავალებები, რომლის დანერგვასაც აპირებენ 2023-2024 სასწავლო წლისათვის, ხელს შეუწყობს დიფერენცირებულ, საინტერესო და სახალისო სასწავლო პროცესის წარმართვას, მათ შორის, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ინკლუზიაში ჩართული სპეციალისტების ანგარიშები, ყოველი ასეთი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. ექსპერტები კათედრების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და (კათედრის პორტფოლიოში) შეფასების რუბრიკების, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი: პროექტის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების, შემაჯამებელ დავალების და ა.შ. ასკვნია, რომ სკოლას აქვს მზაობა გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან და შედეგებთან მიმართებით შეაფასოს მოსწავლეთა მიღწევის დონე. რიგ საგნებში, უკვე შექმნილია სრულყოფილი შეფასების რუბრიკები თემებისა და კომპლექსური დავალების, საკითხის გათვალისწინებით, რიგ საგნებში გეგმავენ დახვეწონ და უფრო



მრავალფეროვანი გახადონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შემუშავდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების და საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. რამდენიმე საგანში ვიზიტის დროს, დამატებითი ინფორმაციის მოძებნის შემდეგ, ექსპერტისათვის ნათელი გახდა, რომ სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები მესამე თაობის ესგ დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა მიღწეულ შედეგებს და ისე გეგმავენ სასწავლო პროცესს. მონიტორინგის პროცესს სკოლა ახორციელებს წელიწადში ორჯერ: პირველი და მეორე სემესტრის პროცესში. სამუშაო შეხვედრებზე განიხილება მონიტორინგის შედეგები, მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, მოსწავლეთა შეფასებები. მონიტორინგის შედეგების ანალიზს სკოლა ითვალისწინებს მომდევნო კურიკულუმის დაგეგმვისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებები) და კათედრების წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე პრაქტიკული გამოცდილება, მათ შეცვალეს დავალებები, ზოგი დავალების - პირობა. აღნიშნეს, რომ ისინი კათედრაზე შეთანხმდებიან და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეავსებენ მომავალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ისგ;
- შეფასების რუბრიკები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ბლოგის ბმული;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.
- კათედრის პორტფოლი: კათედრის სამოქმედო გეგმა, ანგარიში;
- მასწავლებლების ურთიერთდასწრების განრიგი;
- კომპლექსური დავალების ბარათები შეფასების რუბრიკებით;
- პროექტი ეფექტიანი მონიტორინგის სისტემა;



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები კათედრების მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში ხედავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწყევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე განხორციელებული სასწავლო პროექტები, მასწავლებლების მიერ, ინტერვიუს დროს, აღწერილი აქტივობები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის



მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, მაგ. კლუბი „მოხალისეს“ ინიციატივით გაიმართა ღონისძიება დედამიწის დღის აღსანიშნავად, ხორციელდება სასკოლო პროექტები, განვითარებულია სახელოვნებო და სპორტული მიმართულებები. ეწყობა ღონისძიებები სკოლის თვითმართველობის ინიციატივით, მაგალითად, ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, 1 ივნისს, გაიმართა დებატები და მომზადდა ბუკლეტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსი მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალიზი, შექმნას საინტერესო პროდუქტი. კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პორცესი. წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების პროცესი ჩანს სხვადასხვა კათედრის ეგიდით განხორციელებულ პროექტებშიც, ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს ექსპერტებს რომ დაასკვნან - სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტების მოსაზრებით, სკოლას აქვს მზაობა აქტიურად დანერგოს და განახორციელოს მეტაკოგნიტური უნარების გასავითარებლად საჭირო სტრატეგიები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა მასწავლებლებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა, გააკეთოს რეფლექსია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. წარმოდგენილი მასალის შესწავლის შემდეგ, ექსპერტები ასკვნიან, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, ასევე მსჯელობა და ანალიზი, საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება, ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. კურიკულუმის ჩარჩო, შუალედური მიზნები, წმოდგენილი პროექტები, სკოლის ბლოგი და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია პირობისეული ცოდნის დაგროვებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და



ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე ექსპერტები ასკვნია, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. გარდა ამისა, სკოლის დონეზე განხორციელებული სასკოლო პროექტები, კათედრის მიერ არაფორმალური განათლების ხელშეწყობა რაც კლუბების ფუნქციონირებით დასტურდება დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის ინტეგრირებაში და გამთლიანებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის პორტფოლიო;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ანგარიში;
- კომპლექსური დავალების ბარათები.
- სკოლის ბლოგი;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევენ, რომ ყველა საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში ჩანს მთავარი ორიენტირები - სამიზნე ცნებები, რომლებიც შესაბამისობაშია საგნობრივ საკითხებთან და მოსწავლეს საგნობრივი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს. რაც შეეხება გრძელვადიანი მიზნებს, მათ გააზრებაში მოსწავლეებს-მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები დაეხმარება, რადგან დავალებები მოიცავს საკითხის დონეზე დაზუსტებულ სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც დავალების მნიშვნელოვანი ნაწილებია - შეფასების კრიტერიუმები. დაზუსტებულია რესურსები, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. კურიკულუმებში სამიზნე ცნების დონეზე ჩანს იერარქია- ქვეცნება. აგრეთვე სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლაში ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საერთო სასკოლო პროექტები, ასევე კათედრების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები, პროექტები, კლასის საათისათვის შერჩეული თემატიკები: “თვითგანვითარება”; “სოციალური ჩემს გარშემო”; “რა არის გენდერული როლები” და ა.შ. მოსწავლეს ფსიქო-ემოციურ განვითარებას ემსახურება. ზოგადად, სკოლა ორიენტირებულია როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე, რაც სხვადასხვა კლუბების - “გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო”, სამოქალაქო განათლების კლუბის” ფუნქციონირებითაც დასტურდება. მასწავლებელთა ეს ნარატივი დასტურდება სკოლის Facebook გვერდზე წარმოდგენილი ფოტო მასალებიდან, რაც ადასტურებს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არის თანასწორობაზე, ურთიერთპატივისცემასა და ზრუნვაზე დაფუძნებული ურთიერთობა (მაგ: 2023 წლის 13 აპრილს ატვირთული ფოტოები, რომელიც ასახავს ფრანკოფონიის კონკურსს, 2023 წლის 1 აპრილს ატვირთული ფოტოები, რომელიც ასახავს აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღის აღნიშვნას ქართულ და ინგლისურ ენაზე გაკეთებული პრეზენტაციებით, 2023 წლის 5 ივნისს ატვირთული ფოტოები ფრანგულენოვანი პროექტის „Harmonie Georgienne” აღსანიშნავად). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანი მიმართულებებით შეფასების საშუალებას იძლევა: პრეზენტაციის, პროექტის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ჰოლისტური შეფასების რუბრიკების შემუშავებაზე საბაზო საფეხურისათვის; შერჩეულ კომპლექსური დავალებებისათვის- განმავითარებელი რუბრიკები, რომლებიც სამიზნე ცნებების დამუშავებისას, მოსწავლეების კომპლექსური და ობიექტური შეფასების საშუალებას მისცემთ. განამკვიდრებელი შეფასების ინსტრუმენტად ყველა ექსპერტი შედეგების მიღწევის ტაქსონომიას ასახელებს და მოსწავლეთა თვითშეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე დაადასტურა რომ კათედრებზე, წევრებს აქვთ საერთო ხედვა შეფასების სისტემის განვითარების, დახვეწის თვასაზრისით. საბაზო საფეხურის



სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ასევე, სპორტის ექსპერტის თქმით, გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები აპირებენ შეფასების სავადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირჩევს შეფასების I მოდელს, მუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც სექტემბრამდე პერიოდში ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე იქნება მორგებული, შეფასების გამჭირვალებას, ობიექტურობას და სამართლიანობაზე დაკვირვების საშუალება მიეცემა გასაჯაროების შემდეგ. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ეს მიმართულება განავითარონ და გააძლიერონ, რაც გასაუბრების დროსაც გამოჩნდა. ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ობიექტური და გამჭირვალე შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-052-ით დამტკიცებული შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაცია განხორციელოს სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესში იგეგმება დირექტორის მოადგილის, კათედრების ხელმძღვანელების და ხარისხის ჯგუფის ხელმძღვანელის ჩართულობა. ვერიფიკაციის განხორციელება იგეგმება სამ ეტაპად. მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ კათედრებისათვის მნიშვნელოვანია შემაჯამებელი სამუშაოებზე დაყდნობით მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკა და პროგრესზე დაკვირვება, სამოქმედო გეგმიდან ჩანს კოლეგები ერთმანეთს აცნობენ შემაჯამებელი სამუშაოს შედეგებს და აანალიზებენ, განიხილავენ სემესტრის მიხედვით მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს და გეგმავენ შესაბამის სამუშაოებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



6. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ასკნიან, რომ სკოლაში უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას, შენახვას კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- განხორციელებული პროექტის - „Harmonie Georgienne“-ანგარიში;
- სკოლის Facebook გვერდი;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა.
- კათედრის პორტფოლი: კათედრის სამოქმედო გეგმა; კათედრის განხორციელებული აქტივობების აღწერა;
- სასკოლო პროექტები; კათედრის პროექტები;
- მასწავლებლებთან გასაუბრება.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებელთა დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა განაპირობებს სკოლაში არსებულ მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. ამ მიზნის მისაღწევად კი მასწავლებლები გამოიყენებენ მრავალფეროვანი სწავლების სტრატეგიებს, სასწავლო საშუალებებსა და რესურსებს, მათ შორის – ელექტრონულ რესურსებს. წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაანალიზდება წლის ბოლოს კათედრებზე და გამოწვევები კი, იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქცევა საკვლევ საკითხებად მომავალი წლის სწორად დაგეგმვის მიზნით. კათედრებზე დანერგილია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, სასკოლო ცხოვრების ნებისმიერი



პროცესი რომელიც მიმდინარეობს თანამშრომლობით, ღიაობის მტკიცებულებაა. ეს ნიშანი აშკარაა კათედრების მუშაობაში, რაც გამოჩნდა მასწავლებლებთან შეხვედრისას და გაჩერდნა დანართში 22-კათედრის დებულება და დანართში 10 - 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. პოზიტიური გარემოს შესასწავლად სკოლაში არსებობს კითხვარები, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ექსპერტებს აძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლისთვის მახასიათებელი თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლას აქცევს მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიმდებ დაწესებულებად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.ექსპერტებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რამდენად დაინტერესებულები, მოტივირებულები არიან მოსწავლეები მათ გაკვეთილებზე, როგორი ენთუზიაზმით არიან ჩართულები გარკვეული პროექტების, ღონისძიებების განხორციელების პროცესში, შესაბამისად ასკვნიან, რომ კათედრების მუშაობა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. მათთვის პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებებს, აღიარება/პატივისცემას, ნდობას, მაღალ მორალურ ღირებულებებს, ჩართულობას და მიკუთვნებულობის მაღალ გრძნობას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და ეს მათთვის ძირითადი პრიორიტეტია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;



- შეფასების რუბრიკები;
- ისგ;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- კათედრის პორტფოლი;
- სასკოლო პროექტები.
- მასწავლებლის პრეზენტაცია-კომპლექსური დავალების წარდგენა;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც მკაფიოდ და ზუსტადაა გაწერილი კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ მონიტორინგი ხორციელდება კურიკულუმის განსაზღვრული გეგმის შესაბამისად, კერძოდ, გამოყენებულია



სადიაგნოსტიკო შეფასებების ინსტრუმენტები, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, გამოკვეთენ საჭიროებებს, რათა დასახონ ინოვაციური იდეების დანერგვის გზები. ექსპერტებმა მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დაასტურეს, რომ კათედრებზე იცნობენ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას და მათთვის მნიშვნელოვანია განხორციელების პროცესში იდენტიფიცირებული მიგნებები გაითვალისწინონ კურიკულუმების დაგეგმარების პროცესში, ასევე სკოლა აქვს ერთგვარი ხედვა - პროექტი პროცესის ეფექტიანი მონიტორინგისათვის, რომელშიც კათედრის წევრები თავისი პასუხისმგებლობით არიან წარმოდგენილები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება; სასკოლო პროექტი მონიტორინგზე) და მასწავლებელთა ინტერვიუდან არკვევენ, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლიათ შეაფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. კათედრებზე წევრ მასწავლებლების აქვთ დაგეგმილი ურთიერთდასწრების ცხრილი, აქტივობების ანგარიში, ასევე სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები ახორციელებენ გაკვეთილზე დასწრებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და ეს პროცესი გულისხმობს პოზიტიური და ობიექტური უკუკავშირის, რეფლექსიის განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კათედრებს, სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესზე მონიტორინგი იყოს მიზნობრივი, შედეგიანი და ხელს უწყობდეს კურიკულუმის განვითარებას და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლაში ასევე შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი. ამ ჯგუფის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება;
- სასკოლო პროექტი მონიტორინგზე;



- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმინს განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის საქალაქო;
- კვლევის ბლოგი;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ისე სასკოლო დონეზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე, ექსპერტები მასწავლებლებთან გასაუბრებიდან არკვევენ, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს-კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი. სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს სხვადასხვა ინსტრუმენტი.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტები არკვევენ, რომ სკოლა ითვალისწინებს, შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას,რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.აღნიშნა,რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში იქნება საჭირო.ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები(ძირითადად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს, ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფი, ტესტირება) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ექსპერტები გამოკვეთენ რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ისეთები როგორიცაა მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება სხვადასხვა რუბრიკებით, უშულად მოსწალებების მიერ

აქტივობების განხორციელებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება და ა.შ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად, ექსპერტების დასკვნით, სკოლაში მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის 7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია
- განმავითარებელი-შეფასების-რუბრიკები;
- კათედრის წევრებთან გაასაუბრება;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- კათედრის საქაღალდე.
- კვლევის ბლოგი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები, კათედრებთან გასაუბრების საფუძველზე ასკვნიან, რომ თითოეული კათედრა იცნობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას, რომელშიც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; რეკომენდაციების შემუშავება შემდეგ წელიწადს კურიკულუმის დასახვეწად. გამოივეთა, რომ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის ითვალისწინებენ დაკვირვების შედეგებს და ისე ადგენენ მომავალი სასწავლო წლისთვის მოდიფიცირებულ ვარიანტს. ზუსტად მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება მიღწეული შედეგების ანალიზი, მოსწავლეებთან ინტერვიუები, მოსწავლეთა და პედაგოგთა რეფლექსიები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებს ყველა იმ მიგნებებს და რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. ექსპერტები ინტერვიუს საფუძველზე ხედავენ, რომ პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო



წლის საგნობრივ კურიკულუმში. გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შეფასების შედეგებზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრის დებულება;
- სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- კათედრის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

შეფასება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადამინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 01/08/2023 წ. N2- 294 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავებაში სრულიად სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის მაღალ ჩართულობას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი ექსპერტების აზრით, სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. იკვეთება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ინტერესი. კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები სრულად ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესს. საგნობრივ კათედრებზე მოხდა საგნობრივი კურიკულუმების და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა-ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა საგნობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან იღებენ უკუკავშირს. დასტურდება რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**



3 საგნობრივი ექსპერტების აზრით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ საგნობრივ კათედრებზე მოხდა საგნობრივი კურიკულუმების და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა-ანალიზის საფუძველზე, რაც მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობას ადასტურებს. ყოველივე აღნიშნული დასტურდება კათედრების ანგარიშებით, საკლუბო მუშაობით, განხორციელებული პროექტებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის დოკუმენტაციით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო თემის მიერ, ამისათვის გამოყენებულია სოციალური ქსელი, კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, ასევე გაზიარებულია სკოლის ბლოგსა და ფეისბუქ გვერდზე. სკოლას skolebi.emis.ge პლატფორმის ფარგლებში დაწყებული აქვს საკუთარი გვერდის რედაქტირება სადაც განთავსდება შესაბამისი მასალები. იკვეთება კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ;
- სკოლის ბლოგის ბმული;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება;
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუები პედაგოგებთან
- საგნობრივი კურიკულუმები.



2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ რევაზ მუმლადის სახელობის ქალაქ ზესტაფონის N7 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ საფუძველზე იკვეთება სკოლის მზაობა სწავლის პროცესი განხილულ იქნეს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელიც თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს, კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით. წარმოდგენილი სამიზნე ცნებები სასწავლო პროცესში ცოდნის, უნარების, ღირებულებების ერთობლივ აღქმასა და მოქმედებას განაპირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ჩარჩოებით, სადაც მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები. დავალებები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებს, ითვალისწინებს მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნასა და უნარების განვითარებას. კურიკულუმი ითვალისწინებს არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტულ სწავლებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო გარემო და სტრატეგიები იმ სახით არის ორგანიზებული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინიციაციული საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა. სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას მოსწავლეთა

საჭიროებების დადგენის მიზნით და ამ საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დიფერენცირებას, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანი გარემოს შესაქმნელად გამოიყენება უნივერსალური დიზაინის პრინციპები, სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად დავალების პირობის ადაპტირება ან დავალებების მორგებულია მოსწავლეებზე მათი მზაობის მიხედვით, რითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესში გამოიყენონ დიფერენცირებული /ინკლუზიური მოდგომები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი შეფასებისთვის სკოლამ მომავალ წელს შეარჩია შეფასების პირველი მოდელი, ანუ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებების შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით. ასევე, წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტიკისათვის, კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების N2 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს. სკოლამ წარმოადგინა ორი სახის შეფასების რუბრიკების ჩარჩოები. ერთი, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებზე-გრძელვადიან მიზნებზე, და მეორე, რომელიც აფასებს მოსწავლის ცოდნას სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ცხადყოფს, რომ სკოლამ დაგეგმვისას გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება. კათედრებთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლამ შეიმუშავა დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას გასათვალისწინებელია წინა სასწავლო წლის გამოცდილება. ინტერვიუების დროს ყურადღება გამახვილდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის პროცესის დახვეწასა და მის გამოყენებაზე კურიკულუმის შემუშავებისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები



- კათედრის დებულება;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის პორტფოლიო;
- ურთიერთდასწრების განრიგი;
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება.
- ინტერვიუები პედაგოგებთან.
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე კურიკულუმების რეალიზება მოხდება გარემოში, სადაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; ამ აქტივობების მთელი ნუსხაა წარმოდგენილ კურიკულუმებში. მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, შეფასების სქემები, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს ინტერაქტიული მეთოდების უპირატესობა. კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, გარდა კომპლექსური ტიპის დავალებებისა, მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, მაგ.- კლუბი „მოხალისეს“ ინიციატივით გაიმართა ღონისძიება დედამიწის დღის აღსანიშნავად, ხორციელდება სასკოლო პროექტები, განვითარებულია სახელოვნებო და სპორტული მიმართულებები; ეწყობა ღონისძიებები სკოლის თვითმართველობის ინიციატივით, მაგ.ალითად, ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით 1 ივნისს გაიმართა დებატები და მომზადდა ბუკლეტები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლამ საშუალო საფეხურზე გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ამ სტრატეგიის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალებების პირობებიც, რაც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმაც დაადასტურეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და დაუთმობს მომავალში მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. იგივე აზრი მსჯელობით გამყარდა კათედრებთან გასუბრების შედეგად, სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის

ეროვნული სასწავლო გეგმის ამ პრინციპით. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სასწავლო თემები, რომელთა დამუშავების შედეგადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს გაიაზროს პროცესი, მოიძიოს განსხვავებული გზები პრობლემის გადასაჭრელად და გამოიტანოს დასკვნა, გააკეთოს რეფლექსია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს სკოლის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები, საიდანაც ჩანს რომ მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით.

ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითია პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. სწორედ ამას ეფუძნება დაგეგმილი კურიკულუმები. საშუალო საფეხურის კურიკულუმების მიხედვით სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო ფესტივალებში, შეჯიბრებებში (რაიონულ და რეგიონალურ), კონფერენციებში. ამაზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებული, რაც დასტურდება ჩატარებული კომპლექსური დავალებების ანალიზით და მომავალი სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. გარდა ამისა სკოლის დონეზე განხორციელებული სასკოლო პროექტები, არაფორმალური განათლების აქტივობების ხელშეწყობა რაც კლუბების ფუნქციონირებით დასტურდება, დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის ინტეგრირებაში და გამთლიანებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N2 საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტის - „Harmonie Georgienne“-ანგარიში
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კათედრის პორტფოლიო;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ანგარიში;
- სკოლის ბლოგი
- სასკოლო პროექტების აღწერილობა.
- ინტერვიუები პედაგოგებთან.
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა: „შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შემდეგ სამუშაოს გასაიტყვებისას იკვეთება რამდენად მიუახლოვდა მიზანს ჩატარებული სასწავლო პროცესი, რამდენად მყარად დამკვიდრდა მასში ესა თუ ის სამიზნე ცნება.“ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი ექსპერტების აზრით, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება და უზრუნველყოფს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საერთო სასკოლო პროექტები ასევე კათედრების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები მაგ: „საქართველოს ახლანდელი გეოპოლიტიკური სიტუაციის შეფასება-დისკუსიის მოწყობა“; „9 აპრილი -ჩვენი ტკივილი“ კლასის საათისათვის შერჩეული თემატიკები: „იდენტობა-ვინ ვარ მე?“, „კონფორმიზმი“; „არა ძალადობას“ და ა.შ. მოსწავლეს ფსიქო-ემოციურ განვითარებას ემსახურება. აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ მოსწავლემ გამოხატოს თავისი ინტერესი, ისწავლოს აზრის კორექტულად გამოთქმა, ემპათია სხვისი მოსაზრების მიმართ, ეფექტური კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. ზოგადად სკოლა ორიენტირებულია როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე, რაც კლუბების- „გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო“, სამოქალაქო განათლების კლუბის“ ფუნქციონირებითაც დასტურდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ექსპერტები თანხმდებიან, რომ საშუალო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები ასევე მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ასევე დაადასტურა რომ აქვთ საერთო ხედვა შეფასების სისტემის განვითარების, დახვეწის თვასაზრისით **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტები სწორადაა შერჩეული, ის შეესაბამება მიზნებს და მოსწავლის სჭიროებებს, აძლიერებს მათში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად თვითრეალიზების სურვილს, ხოლო შეფასების სიხშირე და მრავალმხრივობა კონტროლდება ადმინისტრაციის მიერ ელექტრონული ჟურნალის

მონიტორინგის გზით. შეფასების რუბრიკები მუშავდება მოსწავლეებთან და კოლეგებთან თანამშრომლობით. სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების აპრობაციის გამოცდილება. შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი ყველა დაინტერესებული მხარისათვის. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ექსპერტების აზრით სკოლას ვერიფიკაციის პრაქტიკა აქვს. განხორციელებულია შეფასების სისტემის მონიტორინგი, რაც ასახულია კათედრების ოქმებში. მონიტორინგს ექვემდებარება მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ვადები და პირობები. თუმცა, დოკუმენტალურად გაწერილი ვერიფიკაციის მექანიზმი ახლა შეიქმნა (ბრძანება N2-304) და მომავალი სასწავლო წლიდან ამუშავდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლა ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. მოსწავლეთა პირადი საქმეები მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას. ელექტრონულ ჟურნალში ასახულია აუცილებელი ინფორმაცია. სკოლას განათლების საინფორმაციო სისტემაში შევსებული აქვს შესაბამისი ველები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განხორციელებული პროექტის - „Harmonie Georgienne“-ანგარიში;
- სკოლის Facebook გვერდი;
- კათედრის პორტფოლი: კათედრის სამოქმედო გეგმა; კათედრის განხორციელებული აქტივობების აღწერა;
- სასკოლო პროექტები; კათედრის პროექტები;
- კომპლექსური დავალება, შეფასების რუბრიკები.
- მასწავლებლებთან გასაუბრება.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;



2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმები და დიფერენცირებული მიდგომები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის ჰოლისტიურად შეფასების წესები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და მხარდამჭერი სასწავლო პროცესის მაჩვენებელია. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ისე ჯგუფის მიერ პერიოდულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება. პოზიტიური გარემოს შესაფასებლად დირექცია პერიოდულად ატარებს როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლების და მშობლების გამოკითხვას. მასწავლებლები საუბრობდნენ სასწავლო პროცესის წარმართვისას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაზე, გარკვეული პრობლემის გადაჭრისას, მოსწავლეების, სკოლისა საზოგადოების, მშობლების ჩართულობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადას, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლა სასწავლო პროცესში ქმნის მოსწავლისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. - სასწავლო პროცესში წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ნიმუშებში იკვეთება სხვადასხვა ტიპის აქტივობები ამ მიმართულებით. აღნიშნული დასტურდება არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტებით, კლუბების საქმიანობით საერთო სასკოლო მიდგომით, ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეებზე ორიენტირებით და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სწავლების საშუალო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაოები ფორმალური და არაფორმალური კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, რაც წარმატებით ხორციელდება სკოლაში. ამ მხრივ დიდი როლი აქვს თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორისაც. ინტერვიუების დროს გამოიკვეთ, რომ სკოლაში პერიოდულად იქმნება სასწავლო ჯგუფებიც გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად. კათედრების პორტფოლიოში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა,



გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების განრიგი, განხრციელებული აქტივობების აღწერილობა და კათედრის ანაგრიში, ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება, წევრებს შორის პატივისცემაზე, თანამშრომლობაზე დაფუძნებულ კულტურას წარმოაჩენს. რაც ასევე დასტურდება გასაუბრებით. მოვალეობაა. სკოლის პრაქტიკაში დანერგილი „კრიტიკული მეგობარის“ პრაქტიკა. ურთიერთდასწრებისას პედაგოგები ერთმანეთს თანამშრომლობაზე დაფუძნებით უზიარებენ გამოცდილებასა და რჩევებს. ამ ეტაპზე, აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად გვიზიარებენ თანამშრომლობით შემუშავებულ კურიკულუმებს და შეფასების სქემებს, ერთობლივად განორციელებულ პროექტებს (აუტიზმის დღის აღნიშვნა სპეც. პედაგოგის და ინგლისური ენის მასწავლებლის ხელმძღვანელობით), ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულებას და კათედრის დებულებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. . სკოლის სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის ჩართულობითი რევიზია და გადამუშავება, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა ზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც განაპირობებს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს ყველა დონეზე. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებისთვის პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებებს, აღიარება/პატივისცემას, ნდობას, მაღალ მორალურ ღირებულებებს, ჩართულობას და მიკუთვნებულობის მაღალ გრძნობას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და ეს მათთვის ძირითადი პრიორიტეტია. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ ობიექტურ კრიტერიუმებს, დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- კათედრის პორტფოლი;
- სასკოლო პროექტები.



- კლუბების საქმიანობის მასალები;
- სკოლის ბლოგი
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება. ის წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანამდევ, განუყოფელ ნაწილს. კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს, რადგან, მეთოდოლოგიის მიხედვით, ჯერ ხდება მისი დაგეგმვა, რასაც მოსდევს განხორციელება და მონიტორინგი/შეფასება გადაგეგმვა. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, პროცესებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზთან. საშუალო საფეხურისათვის მასწავლებლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ იცნობენ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას. სკოლის არსებული პრაქტიკა იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ



მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება. კათედრები სემესტრის ბოლო შემაჯამებელ სხდომაზე აჯამებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზების შედეგებს, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარების, სასწავლო ჯგუფებში მუშაობის და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობის (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე) მხარდაჭერაში დირექციის მხრიდან, მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის რემედიაციის პროგრამა და დიფერენცირებული სწავლება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი ახორციელებდა გაკვეთილზე დასწრებას, დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდებოდა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშველოვანია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება ერთი მხრივ როგორც პრობლემა გადაჭრის, და მეორეს მხრივ როგორც რეკომენდაციების პაკეტის შემუშავების საშუალება, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს, ეხმარება სირთულეების დაძლევაში, ამრიგად სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება, გამოავლინონ საჭიროება და ერთობლივად განსაზღვრონ პრობლემის გადაჭრის გზა. მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ კათედრაზე ხორციელდება წინა წლის კურიკულუმების ანალიზი, გამოკვეთენ პრობლემებს და სახავენ გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- კათედრის დებულება
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კათედრის საქალაქო;

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიკურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ცდილობს მოსწავლის შეფასება იყოს მრავალმხრივი, შესაბამისად, იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, ხოლო მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ არასასკოლო აქტივობებში ჩართულობაზე ინფორმაციას აგროვებს დამრიგებელი, სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობაზე მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაცია თავს იყრის შესაბამის აქტივობების/პროექტების ხელმძღვანელთან შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მშობლისგან მიღებული ინფორმაცია, კოლეგებიდან მიღებული რეკომენდაციები და რჩევები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდლოს მოსწავლის პროდუქტულობაზე. შესაბამისად სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები ეხმარება/აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტები არკვევენ, რომ სკოლა ითვალისწინებს, შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას, რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. აღინიშნა, რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში იქნება საჭირო. ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები (ძირითადად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკებს, ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფი, ტესტირება) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს

ექსპერტები გამოკვეთენ რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ისეთები როგორცაა მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასება სხვადასხვა რუბრიკებით, უშულად მოსწალებების მიერ აქტივობების განხორციელებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დაკვირვება და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად, ექსპერტების დასკვნით, სკოლაში მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს, ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- კათედრის საქალაქო;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- კვლევის ბლოგი;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებას, წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშავებული სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის, მოსწავლეთა შედეგების, მშობელთა ჩართულობის, კათედრებისა და დირექციის მუშაობის შეფასების შედეგებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც იქმნება კონკრეტული სარეკომენდაციო პაკეტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. აღნიშნული პაკეტის შემუშავება ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ინტერვიუების დროს პედაგოგები აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ,



კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის დებულება;
- ინტერვიუები პედაგოგებთან.
- 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა 120 (ასოცი) გვერდი.



თანდართული დოკუმენტაცია: 225 (ორასოცდახუთი) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ჭიჭი

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

წ. ჯგერაძე

11.09.2023წ.

თარიღი